დადგენილება №66/2020 - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის დამტკიცების შესახებ

დადგენილება №66/2020
17 სექტემბერი, 2020

დადგენილება №66/2020 - სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების" მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ" ქვეპუნქტის, აკადემიური საბჭოს 2020 წლის 17 სექტემბრის № 34 სხდომის ოქმის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა - 10 ადგილი (7 ფასიანი ადგილი; 3 უფასო ადგილი);
2. დადგენილება დაეგზავნოს ფაკულტეტების დეკანებს, სასწავლო დეპარტამენტს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;
3. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge
4. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე